განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ნიჭიერი ახალგაზრდობის მეცნიერებაში მოზიდვა, მათი მხარდაჭერის ეფექტური მეთოდების შემუშავება და ქვეყნიდან „ტვინების გადინების პროცესის“ შეძლებისდაგვარად დამუხრუჭება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთერთი ძირითადი მოვალეობაა. მეორეს მხრივ, აკადემიას, რომელიც აერთიანებს უფროსი თაობის გამოჩენილ მეცნიერებს (აკადემიის წევრთა საშუალო ასაკი 76 წელზე მეტია), წარმატებით ფუნქციონირება მხოლოდ საშუალო და უმცროსი თაობის მეცნიერებთან აქტიური თანამშრომლობის პირობებში შეუძლია. დღეს მოქმედი სამართლებრივი ბაზა აშკარად არასაკმარისია აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად და სწორედ მისი სათანადოდ შევსება არის კანონპროექტის მიღების მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, აუცილებელია რამდენიმე საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა, რაც დაკავშირებულია აკადემიის სტატუსის, აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის სამართლებრივი მდგომარეობისა და მართვის ორგანოების უფლებამოსილების განსაზღვრასთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა და ამ მეცნიერების საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაში ჩართვა. კანონპროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს აკადემიის სტატუსის, აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის სამართლებრივი მდგომარეობისა და მართვის ორგანოების უფლებამოსილების მკაფიოდ განსაზღვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გრძელვადიანი (5 წლიანი) სამეცნიერო სტიპენდიების დაწესებას და წევრ-კორესპონდენტთა ინსტიტუტის სტიპენდიანტთა ინსტიტუტით ეტაპობრივ ჩანაცვლებას. წევრ-კორესპონდენტთა და სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40-ს. კანონის ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება 9 სტიპენდიანტის არჩევა, (რადგან ამჟამად აკადემიაში ირიცხება 31 წევრ-კორესპონდენტი). მოქმედი კანონის მიხედვით წევრ-კორესპონდენტების არჩევა აღარ ხდება და მომავალში გამოკლებულ წევრ-კორესპონდენტთა ხარჯზე სათანადოდ გაიზრდება აკადემიის სტიპენდიანტთა რაოდენობა.

აკადემიის სტიპენდიანტად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის პირი, რომელიც არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. აკადემიის სტიპენდიანტად არჩევის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 50 წელს, იგი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და მოღვაწეობდეს

საქართველოში. სტიპენდიანტი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთიდაიმავე პირის სტიპენდიანტად არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ. სტიპენდიანტს ენიშნება ანაზღაურება თვეში არანაკლებ 1000 ლარის ოდენობით.

კანონპროექტის თანახმად, აკადემიის ნამდვილი წევრის, წევრ-კორესპონდენტის და სტიპენდიანტის დანიშნულ ანაზღაურებათა უზრუნველსაყოფად საჭირო თანხა გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მისი სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

წარმოდგენილი კანონპროექტის კიდევ ერთი არსებითი სიახლე არის ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაზე, როგორც წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ეკისრება საქართველოს მთავრობას (და არა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, როგორც ამას ითვალისწინებს მოქმედი კანონი).

კანონპროექტის თანახმად, აკადემიას შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ვიცე-პრეზიდენტი. როგორც პრეზიდენტის, ისე ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა მიჩნეულია ადმინისტრაციულ თანამდებობად. ამასთან, აკადემიაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიის ნამდვილი წევრი, რომლის ასაკი არ აღემატება 70 წელს.

იცვლება აკადემიის მართვის ორგანოს სახელწოდება, რომელიც საერთო კრებებს შორის ხელმძღვანელობს აკადემიის საქმიანობას. ამ ორგანოს, ნაცვლად „აკადემიური საბჭოსი“, დაერქმევა „აკადემიის პრეზიდიუმი“.

მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, კანონპროექტში დაფიქსირებულია რომ აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია აკადემიის სამეცნიერო განყოფილება, რომელიც აერთიანებს შესაბამისი სამეცნიერო პროფილის აკადემიიის ნამდვილ წევრებს, წევრ-კორესპონდენტებსა და სტიპენდიანტებს. დაფიქსირებულია აგრეთვე, რომ განყოფილებას ხელძღვანელობს განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ:

- საპატიო აკადემიკოსი და აკადემიის უცხოელი წევრი საერთო კრების მიერ იქნას არჩეული (და არა დამტკიცებული);
- აკადემიის ნამდვილ წევრად ასარჩევი პირი მეცნიერულ მოღვაწეობას უნდა ეწეოდეს საქართველოში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მე-10 მუხლის მიხედვით აკადემიის წევრ-კორესპონდენტებისა და სტიპენდიანტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორმოცს. ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 31 წევრ - კორესპონდენტია. მოქმედი კანონის მიხედვით მათი არჩევა აღარ ხდება, ამდენად აკადემიის სტიპენდიანტად შესაძლებელია მაქსიმუმ 9 პირის არჩევა. ამიტომ სტიპენდიანტების

ანაზღაურებისათვის საჭირო იქნება 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით 108 000 ლარის გათვალისწინება.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას 108 000 ლარით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით გათვალისწინებულია აკადემიის სტიპენდიანტისათვის ანაზღაურების დანიშვნა თვეში არანაკლებ 1000 ლარის ოდენობით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ივანე კიღურაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ივანე კიღურაძე.